თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

25.07.2022

N 3186

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ი. ჩიდრაშვილს

საქართველოს
რკინიგზა
1872-დან

სს „საქართველოს რკინიგზაში“ შემოსულია თქვენი 2022 წლის 13 მაისის N6/26749 წერილი, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული (საკ. კოდი 02.05.10.013) მიწის ნაკვეთის პრივატიზების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების 2.07.01-89 ქალაქმშენებლობის პუნქტების 3.8 და 6.8-ის, ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი შეზღუდვები (პირობები). უძრავ ქონებაზე გავრცელებული სხვა შეზღუდვები და პირობები დამოკიდებულია მიწის ფართზე განხორციელებული საქმიანობის სახეობაზე და რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ნორმატიული დოკუმენტებით, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებითა და წესებით, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნებით.

ზემოაღნიშნული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზას“ შესაძლებლად მიაჩნია მითითებული უძრავი ქონების პრივატიზება.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი
ნინო ჯორბენაძე